ოთხშაბათი, 1918 წ. აპრილის 11 (24) № 78
ოთხშაბათი, 1918 წ. აპრილის 11 (24) № 78

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე—35 კაპ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი, სახელი და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია ავტორთან მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კ ო ნ ტ ო რ ა**

ხელის მოწერის ფასი [illegible] —18 მ. თვეში ([illegible]) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ-Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—7

## დ ღ ე ს:

### ც ნ ო ბ ე ბ ი:

გეგეჭკორის კაბინეთი გადადგა.—ახალ კაბინეთის შედგენა ჩხენკელს მიენდო.—

საქ. ერ.-დემ. პარტიის სტუდენტების კომიტეტი ღრმა მწუხარებით აღნიშნავს საუკეთესო ამხანაგების, ქართულ ბატალიონის ჯარის კაცების

**გრიგოლ ჩიქოვანის და სარიშვილის**

აჯიქაბულის ბრძოლაში ტრაგიკულად გარდაცვალებას.

თ. სახოკია და დიაკონი ანტონ კეკელია შეილებითურთ გულითადს მადლობას მოახსენებენ ყველას, ვინც პირადად თუ ტელეგრამებით მიუსამძიმრეს და ნუგეში სცეს პირველის მეუღლისა, მეორეს—ასულისა და მეკამეთა დედისა და დის

**ნადეჟდა სახოკიას**

გარდაცვალებისა გამო (1—1)

## დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია

ამიერ-კავკასიის სეიმმა ცხრა აპრილს შუაღამის 12 საათზე, ხმის უმრავლესობით მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებისა და კადეტების წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ამისდამიხედვით გადადგა ბ. გეგეჭკორის სამინისტრო და ახალი კაბინეტის შედგენა ბ. ჩხენკელს მიენდო. აგრეთვე ახალ მთავრობას დაევალა შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ოტტომანურ იმპერიასთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის საფუძველზე.

თავისთავად ცხადია, რომ ამიერ-კავკასიის შინაურ ცხოვრებაში თითქმის არაფერი იცვლება ცხრა აპრილის ვოტუმით. ჩვენი ქვეყანა ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მას შემდეგ რაც პეტროგრადში ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა. სამაგიეროდ სეიმის გადაწყვეტილებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს: ამიერიდან ახალგაზდა სახელმწიფო არა მარტო ფაქტიურად, არამედ იურიდიულადაც საერთაშორისო კონცერტში შედის და მას უფლება აქვს ზავი შეკრას და ურთიერთობა იქონიოს სუვერენულ სახელმწიფოებთან.

პირველი ნაბიჯი, რომელსაც ახალი მთავრობა გადადგამს იმაში მდგომარეობს, რომ მან საგანგებო დეკლარაციით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა უცხო სახელმწიფოებს უნდა აცნობოს. არსებობს კიდეც ერთგვარი გარანტია, რომ ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფო, განსაკუთრებით ოსმალეთი, ცნობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას. როგორც კონსტანტინეპოლის მთავრობის 10 აპრილის (ახ. სტ.) ნოტიდან სჩანს, ოსმალეთი თვით ითხოვს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას, როგორც აუცილებელ პირობას საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად. თავისთავად ცხადია, რომ ოსმალეთი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს არა მარტო იურიდიული მოსაზრებებით, არამედ ნათლად შეგნებული მატერიული ინტერესებით: დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია ოტტომანური იმპერიისთვის საუკეთესო ღლუდე იქნება რუსული იმპერიალიზმისაგან თავის დასაცავად. თავის მხრივ ახალგაზრდა სახელმწიფო თუ სახელმწიფოთა ჯგუფი რომელიც ამიერ-კავკასიაში არსდება საშიში არ არის ოსმალეთის მილიონობისათვის, როგორც რასიული და რელიგიური, ისე მილიტარული მოტივების გამო.

მოსალოდნელია აგრეთვე, რომ ოსმალეთთან ერთად ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას მთელი ცენტრალური კავშირიც სცნობს. ეს კი საკმაო საწინდარია იმისთვისაც, რომ მომავალი საზავო კონფერენციაში ამიერ-კავკასია შევა როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციით და ზავის ჩამოგდებით არსებითად იწურება სეიმის მოღვაწეობა. მას უფლება არ აქვს ახალი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა ჯგუფის კონსტიტუცია შეიმუშაოს. ეს ერობული დამფუძნებელი კრების საქმეა. სეიმის წევრები რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის იყვნენ არჩეულნი. მას შემდეგ, რაც არჩევნები მოხდა, რადიკალურად შეიცვალა როგორც ობიექტიური პირობები, ისე ხალხის სულიერი განწყობილება. ამიტომ სეიმის რეზოლუცია, რომელიც წინ და წინ ამიერ-კავკასიას ფედერატიულ რესპუბლიკად აცხადებს და კონსტიტუციის პროექტის შედგენას მთავრობას ანდობს სრულს გაუგებრობაზეა დამყარებული და მხოლოდ ჩვენი ახალგაზდა საპარლამენტო მოღვაწეების გამოუცდელობით აიხსნება.

## ჩვენი ორიენტაცია

როდესაც ამ ოთხი წლის წინ, 1914 წ. ზაფხულში, ომი დაიწყო, მსოფლიო ისტორიამ ორ ბანაკად გაჰყო კულტუროსანი ევროპა, ორ ერთიმეორეზე დაპირისპირებულ ორიენტაციის და მიხედვით: გერმანეთისა და ინგლისისა. უკანასკნელი იკრებდა თავის გარშემო ამა თუ იმ სახელმწიფოს, თუ ერს განსაკუთრებით საჩხედრო მიზნების მისაღწევად, ეკონომიურსა და პოლიტიკურ ორგანიზაციას იმ თავითვე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა: რუსეთსა და საფრანგეთს თვით ინგლისთან ნაკლები პოლიტიკური კავშირი ჰქონდა, ვიდრე ოსმალეთსა და ავსტრიას გერმანეთთან. ეკონომიურად კი ციფრებით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ მათ, განსაკუთრებით რუსეთს ბევრად მეტი ურთიერთობა ჰქონდა გერმანეთთან მეტი ურთიერთობა ჰქონდა ვიდრე ინგლისთან. მხოლოდ ომის მეორე წლის გასულს ინგლისმა მოინდომა თავის მოკავშირეთა მჭიდრო ეკონომიურსა და პოლიტიკურს ორგანიზაციაში მოწყობა, მაგრამ ეს ცხოლოთ სუსტი წაბაძვა შეიქმნა გერმანეთის ვრცელისა და მარჯვეთ განხორციელებულ გეგმისა. გერმანეთს ამ ცხრივ მისი მდებარეობა უწყობდა ხელსა. ის უშუამავლოთ ერვრის, ესაზღვრება იმ სახელმწიფოთ, რომელთანაც გერმანეთს მჭიდრო კავშირი აქვს დადებული: ავსტრია გერმანეთის მოსაზღვრეა, მას მისდევს ბულგარეთი, ამას ოსმალეთი; ზევით დანია შვედეთი და ნორვეგია ცხოლოდ განგრძობაა გერმანეთისა.

1866 წ. პრუსიამ დაამთავრა ეხლანდელ გერმანეთის პატარა-პატარა სამთავროების გაერთიანება ერთ მთლიან ეკონომიურ კავშირის (Wirthschafts-bund) ერთეულში; ამით მან გერმანია გაამთელა. ამ ომიანობის დროს გერმანეთის მთავრობამ მჭიდრო ეკონომიური კავშირი შეკრა: დანიასთან, ნორვეგიასთან, შვედეთთან, ფინლიანდიასთან, ბალტიის ერებთან, პოლონეთთან, უკრაინასთან და მთელი რუსეთი ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულობით ეკონომიურად ხავსებით მიიკიდლა. ამას დაუმატეთ, რომ ავსტრო-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი უკვე ომამდი იმყოფებოდა ხსენებულ კავშირში გერმანეთთან. ეს ერთი ვეებერთელა ეკონომიური კავშირი ახალი ისტორიისათვის მთელი ეპოქაა და უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის მომავლისათვის, ვიდრე თვით ომი.

გერმანიამ ეს ომი მით მოიგო, რომ ეს კავშირი საბოლოოთ განამტკიცა. მთელ ამ ორბიტაში მოყოლებული სახელმწიფოები (რუმინეთი ჯერ ჩ კუნძულობას ვერ გასწევდა, აგი ვერც გასწია და ნაგვიანევათ დიდი უბედურების შემდეგ გერმანეთის ნებას დაჰყვა). მსოფლიო მრეწველობასა და ვაჭრობაში გამოდიან, როგორც ერთი ერთეული, როგორც შინაგანი ბაზარი კავშირის წევრებისათვის და პირობითი გარეშე ბაზარი ყველა სხვა სახელმწიფოებისთვის. პირობითი მეთქი, რადგან კავშირისათვის უცხოთა საქონელის შეტანა ე. ი. სავაჭრო-სამრეწველო წარმოება ორბიტის შიგნით დამოკიდებულია მხოლოდ გერმანეთისა და მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობებზე. დაუმატეთ ამას, რომ საფრანგეთის მრეწველობა სასტიკ დეკადანს განიცდის და ინგლისის მრეწველობა წლითი-წლობით კარგავს თავის გასასაღებელ არეს (Absatgebiet); ვერც ერთი, ამ ორ სახელმწიფოთაგანი ჯერ ომამდისაც კი ვერ უძლებდა უცხოელთა კონკურენციას*). (ცნობილია საფრანგეთში 11 ფრანკი საბაჟო გადასახადი უცხო ბაზარზე, იმ მიზნით, რომ საფრანგეთის სასოფლო მეურნეობა უცხოთა კონკურენციით არ გაიქელოს. მაგრამ ვერც ამგვარი ბაჟები შველის საფრანგეთის წარმოებას, როგორც სტატისტიკა გვიმტკიცებს. ინგლისის სასოფლო მეურნეობა კიდევ უარეს მდგომარეობაშია. მისი მრეწველობა კი იაპონიამ, გერმანეთმა და ინდოეთმა საფრთხეში ჩააგდო. საფრანგეთი და ინგლისი —დეკადანსის ქვეყნებია. ამერიკა კი ეხლანდელ ისტორიაში იმავე როლს თამაშობს, რასაც თამაშობდა სიცილია ჰელადის მიმართ: განგრძობა, დასრულება და მასშტაბის გადიდება ევროპის, პირვანდელ სამშობლოს კულტურისა. ევროპის ბედს ამერიკა ვერ გადასწყვეტს. ამგვარ მდგომარეობისას ცხადია უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის გერმანეთის კავშირს, რომელიც თავისი სიძლიერით უცილობელად სავსებით და საბოლოოთ დაიმონებს მთელს მსოფლიო ბაზარს; ეს კავშირი თითქმის კონკურენციის გარეშე იქნება და იგივე იქნება კაცობრიობისათვის, მთელი მსოფლიოსთვის რაც მაგ. მთელი ერთი რომელიმე მხარის ანუ დიდი სახელმწიფოსათვის ახალი ტიპის ტრესტია: ნაწარმოები ამ კავშირის ბაზარზე ძალზე იაფი იქნება, ხელმისაწვდომ ფასებში, საუკეთესო, ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვაზე დამზადებული და საზოგადოების მოთხოვნილებებთან, ბაზრის პირობებთან შეფარდებული. გერმანეთის კავშირში დაგროვილი კაპიტალი ერთი მთლიანი თანხაა, რომელიც ითვლება არა მილიონებითა და მილიარდებით, არამედ სექსტილიონებით, რადგან ამ ვეებერთელა საწარმოო თანხაში შედის ამ ომიანობის განმავლობაში დაგროვილი დოვლათი და თავისუფალი კაპიტალები თვით გერმანეთისა და მისი ცხვლა მოკავშირეთა. ეს კაპიტალები მოახმარდება არა მარტო კავშირის შიგნით წარმოებას, ძველსა თუ ახალს, არამედ კავშირის გარეთაც გავა თავისდა მოსათავსებლად. რასაკვირველია, თუ საკითხი მიდგა იმაზე თუ რა სჯობია ჩვენი ქვეყნისთვის, გერმანეთის ნებაყოფლობითი კავშირის წევრობა, თუ მის გარეშე დგომა, საკითხის გადაწყვეტა იმ პირობებზეა დამოკიდებული, რომელიც წამოყენებული იქნება თვით კავშირიდან. ჩვენი სამშობლო ამ კავშირში პოლიტიკურად სავსებით გაითქვიფოს, როგორც პროვინცია, ჩვენი ქვეყანა ამ კავშირში გაკულტუროსნდება, მაგრამ ჩვენი სახალხო მეურნეობა კი შეიძლება ძალზე დაზიანდეს, თუ გერმანეთმა და მისმა მოკავშირეებმა დაუზოგველი პოლიტიკა აწარმოეს, როგორც ავტონომიური პოლიტიკური ერთეული ჩვენი ქვეყანა და ერი აღურაცხველ დიდ ბედნიერებას იგრძნობს ამ დიდ კავშირში, რადგან მოთავსებული ვიქნებით მთელი მსოფლიოს უდიდეს ეკონომიურს ერთეულში. ამგვარ პირობებში უცხო კაპიტალი მავნებელი კი არა, სასარგებლოა. ჩვენ მჭიდროდ ვიქნებით დაკავშირებული მსოფლიო პირველ-ხარისხოვან სავაჭრო გზებზე: ბაღდათ-ბერლინისა, ალექსანდრეტა-ტრაპეზუნისა სხვა ამგვ. უშუამავლოთ პირდაპირის ხაზით ვიქნებით ურთიერთობაში ევროპის, მსოფლიო ბაზრებთან, რაც გააიაფებს ჩვენში უცხოთა ნაწარმოებს და გაადვილებს ჩვენი ნედლი მასალის თუ სხვა საქონლის გასაღებას ჩვენი სამშობლოს გარედ. ჩვენი ქვეყნის პირდაპირი ინტერესი მოითხოვს, რომ ჩვენ მიუცილებლად შევიდეთ გერმანეთის კავშირში, რომ არ დავრჩეთ ევროპასა და კულტუროსან კაცობრიობას სავსებით მოწყვეტილი, რაც უქადის ჩვენს ქვეყანას მსოფლიო სავაჭრო გზებზე დაცილებას საბაჟოთა ხაზით, მსოფლიო ბაზრის დახშვას ჩვენთვის და საქონლის ძალზე გაძვირებას.

მაგრამ ჰსურს კი გერმანეთს ჩვენი სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნა?

მთელი რუსეთი დაინგრა. გერმანეთის დაუხმარებლათ მაინც ვერ მოახერხებდა რუსეთის პატარა ერები დამოუკიდებლობისა და სეპარატიის გამოცხადებას, რომ ის ვრცელი გეგმა არ არსებობდეს, რომელიც უარს ყოფს რუსეთის სრულიად დაღუპვას და რომელიც წინასწარ ზღუდავს რუსეთს ბუფერებით. მთელი რუსეთი თავის პერიფერიებზე პატარ-პატარა სახელმწიფოებით შემოისალტა: ფინლიანდია, ლიტოვია, პოლონეთი, ბელორუსია, უკრაინა, ამ სახელმწიფოების დაარსება და მათი აღიარება ევროპის მიერ უკვე შედეგია იმ ვრცელი გეგმისა, რომლითაც სურს გერმანეთს წინასწარ გაჰქილოს ჯაჭვით შებოჭოს ცოტა ხნით მთვლემარე სული რუსობისა. ამ გეგმაში უსათუოდ შედის, ბუნებრივათ უნდა შედიოდეს საქართველო, ადერბეიჯანი და თურქესტანი, რადგან, რაც ფინლიანდია—უკრაინას ხაზია გერმანეთისთვის ალმოსავლეთით, ისაა საქართველო-ადერბეიჯანთურქესტანის ხაზი გერმანეთის მოკავშირე ოსმალეთისათვის ჩრდილოეთით. ხოლო ამ უკანასკნელმა ჩვენზე წინ აღიარა ჩვენი და მთელი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, საქართველო მო-

*) იხილე ჩემი „ჩვენი ბლოკ-ძიების საშუალებანი". ავტ.

გვიხმო ორჯერ განმეორებით ბრესტ-ლიტოვსკში საერთაშორისო საზავო მოლაპარაკებაზე. აგეთი აქტი საერთაშორისო ხასიათისა არ შეიძლება მომხდარიყო სხვა მოკავშირეთა წინასწარ დაუკითხავად, და, მაშასადამე, მათი უფლასტურითაც, რისი დამამტკიცებელია ის გარემოებაც, რომ თვით გერმანეთმა საჯაროთ გამოაცხადა იმავე ბრესტ-ლიტოვსკში, რომ ჩვენ გვცნობს დამოუკიდებლათ. საზავო მოლაპარაკების გამართვა ტრაპეზუნდში ზედმეტი დადასტურებაა იმავე დებულებისა. აქედან ცხადია, რომ შუა-ევროპის სახელმწიფოების გეგმას არ ეწინააღმდეგება ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი არსებობა.

ამდენი მტკიცება არ დაგვჭირდებოდა, რომ ჩვენი საზოგადოება და ხელმძღვანელი წრეები ოდნავათ მაინც იცნობდენ ევროპიულს კერძოთ გერმანულ მეცნიერულსა და პუბლიცისტურ ლიტერატურას. ამ მხრივ, რომ D. R. ffübe'-ს ნაწარმოებები, Reimers'-ის წერილები ცნობილი ყოფს ჩვენი ინტელიგენციისათვის, აგეთი არგუმენტები არ დაგვჭირდებოდა.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ 1) ჩვენთვის მიუცილებელი საჭიროა გერმანეთის ეკონომიურ კავშირში შესვლა და 2) ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველ ყოფა, რომ ამ კავშირით უკეთ ვისარგებლოთ. ჩვენს დამოუკიდებლობას შუა-ევროპის სახელმწიფოები არ ეწინააღმდეგებიან, წინააღმდეგ, თავიანთი საჯარო განცხადებით, ხელსაც უწყობენ. მაშასადამე რომელი ორიენტაციაა ჩვენთვის სასარგებლო? ინგლის-რუსეთის ორიენტაცია ჩვენ პოლიტიკურ თავისუფლებას ვერ მოგვცემს, რადგან ვერც საფრანგეთი, ვერც ინგლისი თავის მოკავშირე რუსეთის პატარა ქვეშერდომ ერის სეპარაციას ხელს ვერ შეუწყობს: ეს იქნება ვაგლახად მის შინაგან საქმეში ჩარევა. ეკონომიურათ კი საშინლათ გავიქლეშებით ისედაც ჩამორჩენილ რუსეთთანა და დაქვეითების გზაზე დაქანებულ საფრანგეთ-ინგლისთან ერთად.

დაგვრჩა გერმანეთის ორიენტაცია, რომელიც პოლიტიკურს დამოუკიდებლობას ხელს უწყობს და ეკონომიურათაც უკეთეს პირობებში გვაყენებს.

**ტიტე მარგველაშვილი.**

# ეროვნული პოლიტიკა

IV

**ჩვენი მეზობლები**

ცნობილია, რომ ერთგულება და მეგობრობა მხოლოდ ჭირში გამოიცნობა. შეჭირვებულს და გაჭირვებულს ადვილად სტოვებს გუშინდელი მოკეთე და მეგობარი. მეგობრული სიმტკიცისა და ერთგულობის ყოველისათვის უთუოდ ცუდი ნიადაგია თანამედროვე ანგარიშიანი დრო. მით უფრო საჭიროა ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულობით ეს იშვიათი გრძნობები.

უკვე განვლილი რევოლუციონური წელი არ იყო ბედნიერი ქართველი ერისთვის. მან ვერ ისარგებლა თავისუფლებით. მისმა თავისუფალმა განვითარებამ თავიდანვე შემცდარი მიმართულება მიიღო. განსაკუთრებით თითქოს ქართველი ერი ძლიერი იყო და განსაკუთრებული ძლევა-მოსილებით აღჭურვილი მეზობლებთა შორის. არსებითად კი ის სუსტი იყო. ძლიერი იყო სხვისთვის, უცხო საქმისთვის, უძლური თავისთვის, თავის ქვეყნისთვის. ქართველი ერის დიდი ნაწილის დიდი ენერგია არ იხარჯებოდა ქართულს საქმეზე. ის ან უნაყოფოდ იკარგებოდა შეუძლებელის კეთების ცდაში, ან და ხმარდებოდა იმას, რაც ერისთვის უსარგებლო იყო, შესაძლოა საზარალოც კი. ამას ბუნებრივად მოჰყვა ის შედეგები, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით. თავისუფლების პირველ ხანებში ჩვენი მდგომარეობა თითქოს განსაკუთრებულად კარგი და ხელსაყრელი იყო, დღეს ის განსაკუთრებით ცუდია ჩვენთვის. უკანასკნელი დრო ხომ არავისთვის არ ყოფილა ისე მძიმე, როგორც ჩვენთვის და შესაძლოა ახლო მყობადიც ასევე ცუდი იყოს ჩვენთვის.

ასეთს მდგომარეობაში საქართველოს თავის მტერ-მოყვარის გაცნობის იშვიათი შემთხვევა მიეცა. ნათქვამია ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჩვენს მეზობლებს ბევრი რამის დაშავება შეეძლოთ ჩვენთვის. ისინი ეროვნულად იყვენ შეკავშირებული, დარაზმულნი, ჩვენ კი პარტიულად დაყოფილი და დაქსაქსული. ჩვენ ვინ იცის რას არ ვაკეთებდით და ვის საქმეს არ ვარიგებდით. ჩვენი ერის ინტერესებზე ზრუნვა უდროოდ მიგვაჩნდა და ვფიქრობდით, რომ ეს თავის თავად კეთდებოდა. ჩვენი ლაშქარი ძლიერი იყო, მაგრამ მხოლოდ საერთო რევოლუციონურს ფრონტზე. ხოლო ის სუსტი იყო ეროვნულად, საკუთარს ეროვნულს ფრონტზე. ყოველივე ეს კარგად იცოდენ ჩვენმა მეზობლებმა და მათდა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩვენი ეროვნული დაქსაქსულობით და სისუსტით სრულებითაც არ ისარგებლიათ. წინააღმდეგ ამისა, როგორც ადერბეიჯანი, ისე ჩრდილო-კავკასიის მთიელნი თავიდანვე საქართველოს აკუჩნებდენ კავკასიის პოლიტიკურად მოწყობის მეთაურობას და ხელმძღვანელობას. ამიერ-კავკასიის განთავისუფლების ისტორია მოიხსენებს იმ პირთ, რომელნიც ყინულოვან კავკასიიდან და „ცეცხლის ქვეყნიდან“ არა ერთხელ სტუმრებიან საქართველოს დედა ქალაქს მასთან დაკავშირებისა და შეთანხმების სურვილით.

ჩვენ პარტიულს პოლიტიკას ვაწარმოებდით და არა ეროვნულს. მეზობელთა ასეთი ჩვენდამი განწყობილებას — ჩვენი მწარე ისტორიის ამ იშვიათ კეთილს მემკვიდრეობას ჩვენ ჯეროვანად არ ვაფასებდით. კიდეც ვანელებდით ამ კარგს განწყობილებას, რაც ასე ძვირფასი იქნებოდა მომავალი ჩვენი თავისუფალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ეს რევოლუციონური წელი ამიერ-კავკასიაში სავსებით სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ჰეგემონიით დაიწყო და დამთავრდა. თუმცა ამ პარტიის პოლიტიკა არ ყოფილა ქართული, სახელითაც კი ის რუსული იყო, მიდგაწევა მისი იყო არა ეროვნული, არამედ „ინტერნაციონალური“, როგორც ისინი უწოდებენ თავის პოლიტიკას, მაგრამ ამ პარტიის შემადგენლობა თითქმის სავსებით ქართული იყო და ყველა მისი შეცდომები, თუ შეცოდებები ქართველს ერს მიეწერებოდა გარეშე ხალხის თვალში. თუმცა ამ პარტიის პოლიტიკის გულწრფელობაში, ალბად ჩვენს მეზობლებს ეჭვი არ შეჰქონდათ, მაგრამ ეს პოლიტიკა ხშირად ყოფილა მათთვის მიუღებელი და არა-სასურველი თავისი უკიდურესობით და მათ ეროვნულ პირობებთან შეუფერებლობით, ყოველივე ეს უთუოდ ანელებდა მათს ქართველს ერისადმი ტრადიციულს კეთილს განწყობილებას და ნაიდაგს უმზადებდა იმ ვიწრო რელიგიურსა, თუ ვიწრო რასიულს მიმდინარეობებს, რომელნიც მტრული იყო ჩვენდამი და, საზოგადოდ, ყველა გარეშე და უცხოთათვის.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ერთი წლის შეცდომებმა ვერ შესძლეს საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი მეგობრობა შეეცვალათ და დღეს, წრომდესაც ამიერ-კავკასიის ერები თავისუფალ ეროვნული განვითარების გზას დაადგნენ, ქართველი ერისადმი მათი განწყობილება ისეთივეა, როგორც იყო ტრადიციულად.

ამის საუკეთესო საბუთად უნდა მივიჩნიოთ მათი ჩვენდამი დამოკიდებულება ამ უკანასკნელს ჟამს, როდესაც ჩვენს საზღვრებში ოსმალთა ლაშქარი შემოიჭრა. როდესაც ჩვენი ლეიძლი მაჰმადიანი მოძმენი ჩვენს წინააღმდეგ მახვილით წამოვიდენ, ახალციხისა და ჩრდილოეთის მაჰმადიან მეზობლებს თუ რამ უდიდესი და მაქსიმალური რამ ჩვენგან მოეთხოვებოდა — ეს ის, რომ მათ დაეცვათ ნეიტრალიტეტი და ლოიალობა და აჭარის მაგალითისთვის არ მიებაძნათ. ეს მათ პირნათლად შეასრულეს და ყოველი გონიერი ადამიანისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს იყო უდიდესი, რაც ჩვენი მეზობლების ხელმძღვანელ წრეებს შეეძლოთ გაეკეთებინათ ჩვენთვის ოსმალეთთან ომის დროს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: მათ მრავალი ზომა და საშუალება იხმარეს, რომ ომის საშინელება ასცდენოდა ჩვენს ქვეყანას და სხვის თვალში მათ „ქართველების დამცველთა“ სახელი დაიმსახურეს. ბრძენს უთქვამს—ოდეს კაცსა გაუჭირდეს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო. ჩვენც ასეთს გასაჭირს განვიცდით დღეს, მაგრამ არ უნდა დავკარგოთ რწმენა, რომ საერთო ძალებით უზრუნველვყოფთ საქართველოს და სრულიად ამიერ-კავკასიის თავისუფლებას და სასურველს განვითარებას.

**ა. ახათაანი.**

# ომი

## ახლო აღმოსავლეთი

**პალესტინის ფრონტი.** ძლიერ ძალების ზეგავლენით ინგლისელები იძულებულნი შეიქმნენ დაეცალნათ ქალაქი სალთიამაში და იორდანისკენ დაიხიენათ. ინგლისელების ნაწილები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალებს და მდინარის ორივ მხარეზე იერიშებს ანახლებდნენ. ამ ჟამად ინგლისელი ჯარები კვლავ მიიწევენ სალთისკენ.

**ომის ხარჯები.**

რაიხსტაგის ცნობით ევროპის ომზე დღევანდლამდის დახარჯავს სულ 550 მილიარდი მარკა. გერმანეთსა და მის მოკავშირეთ დახარჯავთ სულ 180 მილიარდი მარკა, ხოლო ინგლისსა და მის მოკავშირეთ 370 მილ. მარკა.

## ოსმალეთის შემოტევა

**აპრილის 7.**

**სარაყამიშის მიმართულებით.** დაწვრილებითი ცნობები აპრილის 6-ს ბრძოლის შესახებ. აპრილის 6-ს გათენებისას, ოსმალებმა იერიში მოიტანეს ბეგლი-ახმეტელის რაზმის მთელ ფრონტზე. მეტად ენერგიული იერიში მოიტანა ოსმალთა ორმა ბათალიონმა არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით ჩვენ პოლკის ერთ ბათალიონის წინააღმდეგ, რომელსაც პოზიცია ს. ბეზირ-გან-ყეჩათის წინ ეჭირა. პირველი იერიში მოვიგერიეთ. 7 საათზე მტერმა ძლიერ საარტილერიო და სამხედრის შემდეგ, ხელახლა მოიტანა იერიში ისევ იმ ბათალიონზე, რომელსაც დაუჭრეს უფროსი და მოჰკლეს 3 როტის უფროსი. ბათალიონმა ბრძოლით უკან დახევა იწყო, მაგრამ დაჭრილმა უფროსმა შეაჩერა. იმავ პოლკის მეორე ბათალიონს, რომელსაც პოზიცია ჩრდილოეთით ეკავა, ბათალიონმა ბრძოლით უკან დახევა იწყო, მაგრამ დაჭრილმა უფროსმა შეაჩერა, იმავ პოლკის მეორე ბათალიონს, რომელსაც პოზიცია ჩრდილოეთით ეკავა, მტერი ორსავ მხრივ შემოერტყა და იგიც იძულებული შეიქმნა უკან დაეხივა. რაზმის დანარჩენ ნაწილებმა თანდათან იწყეს დახევა და საღამოთი ბეგლი-ახმეტის წინ ახალი პოზიცია დაიკავეს. იმავ დღეს ოსმალებმა ბეგლი-ახმეტის რაზმის მარცხენა ფრთაზე, ისარგებლეს რა ბურუსით, იერიში მოიტანეს ყაზი-ყაის სიმაღლეზე და უკან დაახევინეს ჩვენს ნაწილებს. ხელთ იგდეს 2 ტყვიისმფრქვეველი. ყაზი-ყაის სამხრეთით ოსმალები გაედევნენ და ჩვენი ტყვიისმფრქვეველები ისევ წავართვით. ჩვენმა ცხენოსნებმა ყარა-ყილისის რაიონში ხელთ იგდეს ოსმალთა ერთი ტყვიისმფრქვეველი. ახ-ფუნგარ-ყილიზმანის გზატკეცილზე ოსმალთა იერიში მომაწრე ჯარებით შევაჩერეთ. ოსმალები ოლეხლისკენ განდევნეთ. ამ უბანში აპრილის 6-ს საღამოს 6 საათზე ოსმალებმა ოლეხლისა და იალგუზჩამის ჩრდილოეთით დაიხიეს.

**შიტილოვი.**

**შენიშვნა.** ოზურგეთი მდებარეობს ბათუმის ჩრდილო დასავლეთით 42 ვერსის მანძილზე და 65 კ.—სამხრეთ დასავლეთით ქუთაისიდან.—ბეზირგიანკეჩეთი—34 ვერ. ყარსის სამხრეთ დასავლეთით; ალაგავა—27 ვერსის მანძილზე ყარსის სამხრეთ დასავლეთით; ყაზიყაია—4 ვერ. ალაგავის სამხრეთით; ახ-პუნგარ მაგრეხილი სარაყამიშის სამხრეთით ოლეხლი-ყაზიყაიდან სამხრეთ დასავლეთით 8 ვერსზე და სარაყამიშიდან დასავლეთით 25 ვერსზე.

## რუსეთი

**გენ. ალექსეევის დაპატიმრება**

სარწმუნო ცნობებით გენ. ალექსეევი საბჭოთა მოხხრე ყაზახობას დაუპატიმრებია.

**ბურჟუაზიის ხარკი**

ციმბირის ბოლშევიკებმა ადგილობრივ ბურჟუაზიას შეაწერეს 10 მილიონი მანეთი გადასახადი. ზოგიერთებმა უარი განაცხადეს ესოდენ დიდ ფულის გადახდაზე, იგინი მყისვე დააპატიმრეს.

**ტყვეები ციმბირში**

კომისარიატის აღმოსავლეთ სექციამ პეკინიდან მიიღო ცნობა იქაურ ტყვეების შესახებ. როგორც ახლა ირკვევა, ტყვეები დიდ მონაწილეობას იღებენ რუსეთის ცხოვრებაში. მრავალი მათგანი ბოლშევიკი გამხდარა, ზოგი ის საუკ სემიონოვის წინააღმდეგ ბრძოლაში იღებს მონაწილეობას და ზოგი სოც.-რევოლუციონერებს მიეკედლა.

**შუამდგომლობა რიზვოზოვისთვის**

ბალტიის ზღვის მეზღვაურთა დელეგაციამ სახალხო კომისართა საბჭოს სთხოვა დააბრუნოს გადაყენებული ამირბარი რიზვოზოვი. კომისართა საბჭო დაჰპირდა საქმის განხილვას.

**უცხოელები დეკრეტების წინააღმდეგ**

რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ნოტა, რომელსაც ხელს აწერენ: დანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, ესპანიის, შვედეთის და შვეიცარიის მთავრობა. ნოტით ხსენებული სახელმწიფონი პროტესტს უცხადებენ ცვილა იმ დეკრეტების შესახებ, რომელიც ზარალს აყენებენ მათ ქვეშევრდომთა ქონებას.

**წვრილ ბონების გაუქმება.**

სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით შეაჩერებენ 1, 3, 5 კაპიკიან ბონების გამოშვებას, რადგან მათი ბეჭდვა ღირებულებაზე მეტი ჯდება და ამასთან საერთო სიძვირის გამო მათ არავითარი ფასი არა აქვთ.

**პეტროგრადის სახელის გამოცვლა.**

პეტროგრადის კომუნის სახალხო კომისართა საბჭოს განუზრახავს გამოსცეს ბრძანება პეტროგრადის სახელის პეტერბურგად შეცვლის შესახებ. („ვ. 6.“)

**ოდესაში**

**კოპენჰაგენი.** ავსტრიის შტაბი იუწყება: ხმები ოდესის რუსების მიერ უკან დაბრუნების შესახებ სინამდვილეს მოკლებულია. ქალაქ ავსტრიელ გერმანელ ჯარისკაცების ხელშია.

## უცხოეთი

**მთაშავეთის პრინცის სიკვდილი**

ვენაში გარდაიცვალა მთაშავეთის პრინცი მირკო.

**სერბეთი და მთაშავეთი**

სერბეთმა და მთაშავეთმა გერმანეთთან ზავის მოლაპარაკება გამართეს, დეკლარაციაში აღნიშნავენ, რომ რუმინეთის კაპიტულიაციის შემდეგ მათი ომი ცენტრალ სახელმწიფოებთან ყოველივე მნიშვნელობას მოკლებული იქნება.

**ბოლშევიზმის შეხება გერმანულ რეიხსტაგში**

„ნოვ. ჟიზ“-ის კორესპონდენტი კოპენჰაგენით დეპეშით იტყობინება: კანცლერისა და ვიცე-კანცლერის სიტყვების შემდეგ რეიხსტაგი შუდგა საერთო პოლიტიკურ დებატებს. ტრიმბორნის ცენტრის ლიდერმა რუსეთის შესახებ სთქვა: ჩვენ ვუერთდებით იმ პოლიტიკურ მიზანს, რომელსაც აღმოსავლეთში დაპყრობითი სურვილები არ ახლდეს. ამ სიტყვას კიულმანმა შემდეგი თავისებური კომენტარიები მიაყოლა. შეიდემანმა ილაპარაკა რუსეთის ტრაგედიაზე, რომლის მეხუთე მოქმედებაზე ფარდა უსაცილოდ ჩამოეშვება.

მანვე განაცხადა, რომ გერმანეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არაა პოლიტიკა მისი პარტიისა. თუ სამხედრო პოლიტიკაში ვერ გაიმარჯვა ჩვენმა შეხედულებამ, თუ ჩვენ დაუკითხავად არჩეულია ჩვენი ხალხისთვის სახიფათო გზა ეს ბრალია რუსის ბოლშევიზმისა, რომელთაც გაძარცვეს რუსეთი და სულაც არ იზრუნეს რუსეთის ინტერესებისთვის. ისინი ხელს უმართავენ რუსეთის გაცამტვერებას. თუ ისინი ახლა ჩვენგან მოითხოვენ რევოლუციის გზით საქმის გამოსწორებას, ეს წრეგადასული მოთხოვნილებაა, რადგანაც ჩვენ ჯერ კიდევ დასავლეთთან ომს ვაწარმოებთ. ბოლშევიკების რეცეპტმა არივარგა დასავლეთში ჩვენ არა გვსურს ჩავიგდოთ ძალა იმ პირობებით, რომელნიც იძულებულს გვყოფენ ჩვენ ისეთი ზავი შეგვეკრა ცენტრალ სახელმწიფოებთან, რანაირსაც აკრავენ ან ტროცკი და ლენინი ცენტრალ სახელმწიფოებთან.

რუსეთ-უკრაინის ზავი შეიდემანის აზრით ართულებს გერმანეთის მდგომარეობას დასავლეთში, რადგანაც ინგლისმა არ იცნო ზავი უკრაინასთან, და ვილსონი კი მოითხოვს ყველა საკითხების საზოგადო კონფერენციაზე გადაწყვეტას. აღმოსავლეთის ზავი ჰქმნის tatis aceomplis, მაგრამ შეიდემანს ეჭვი ეპარება, რომ სახელმწიფონი მას გულცივად მოეკიდნენ.

**აჯანყება ირლანდიაში**

**პარიზი.** ირლანდიაში აჯანყებაა. კლერის საგრაფოში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

## რადიო-ბიულეტენი

**სტამბოლი.** აპრილის 21. ოსმალეთის ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და გერმანეთის კრონპრინცის ჯარის ფრონტზე მცირე შეტაკებები ხდებოდა ლასესთან აბრასა და უაზას შუა საარტილერიო ბრძოლაა. პრინც ალბრენტის ფრონტზე მდ. მაასის და მოზელის შუა რამდენიმე ალაგას მტერი საკუთარ პოზიციებიდან გავდევნეთ და 2 კილომეტრის მანძილზე მისი პოზიციები ავიღეთ. მონ ნაალმთეგის ძლიერი კონტრ-იერიშები მისი დამარცხდა. ძარვილს ჩრდილო-დასავლეთით და პონტის აღმოსავლეთით ფრანგებთან შეტაკება მოგვიხდა.

**უკრაინაში.** პერეკოპის და ყარაყაკის ადგების შემდეგ ჩვენმა ჯარმა გზა გაიკვლია ყირიმისკენ.

**მაკედონიის ფრონტი.** დოირანის დასავლეთით და სტრუმაზე მტერმა მოქმედება განაახლა.

**ბერლინი.** აპრილის 21. საღამოს ცნობა. ფრონტზე ახალი არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** აპრილის 21. ეიფელის კოშკიდან. საფრანგეთის ოფიციალი. დღის განმავლობაში ქვეითა ჯარი ბრძოლა არა ჰქონია. ფრონტის სხვა და სხვა ნაწილებში სომმაზე და უაზე და მდ. მეუზის ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. სეიხეიპრის ჩრდილოეთით ფრანგებმა სრულიად აღადგინეს თავისი ხაზი. გერმანელები რეიმსს ყუმბარებს უშენდნენ, რამაც რამდენიმე ალაგას ქალაქში ცეცხლი გააჩინა.

—

რუსულ საზღვაო რადიო სადგურიდან. ტაგანროგზე. ცხრათა საბჭოს. გემი „ათინა“. პურით დატვირთული ტრანსპორტი საჩქაროთ გაგზავნეთ, რომ პური გაიგზავნოს დამშეულ პეტროგრადის, მოსკოვის და სმოლენსკის გუბერნიებში.

## ქრონიკა

**თბილისი.**

**მთავარ კომიტეტის კრება.** დღეს შუადღის 12 ს. შესდგება საქ. ეროვ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველი საგანი—ამიერ-კავკასიის ფედერატიულად მოწყობის საკითხი.

**სამსხურის გარეშე მყოფ აფიცერთა გადასახლება.** თბილისის დამცველ შტაბის უფროსმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მას განზრახვა აქვს თბილისიდან გადაასახლოს ყველა სამსახურის გარეშე მყოფი აფიცრები და სხვა კონტრ-რევოლუციონერები.

**ტყვეების საკითხი.** შესდგა კომისია, რომელშიაც შევლენ შინაგან საქმეთა, სამხედრო და იუსტიციის მინისტრი, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ ტყვეების გაცვლის საქმე შვეციის საგანგებო მისიასთან ერთად, რომელიც ამ ჟამათ თბილისში იმყოფება.

**ოჯახების მოსამსახურეთა კავშირის** გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტის 8 საათის სამუშაო დღისა, ოჯახში მოსამსახურეებმა მუშაობა უნდა დაიწყონ დილის 7 საათზე და გაათავონ საღამოს 5 საათზე ორი საათის დასვენებით. კვირაში ერთი დღე დასვენება ორივე მხრით შეთანხმებით. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს პასუხისგებაში იქნება მიცემული.

**ბენია ჩხიკვიშვილის ჩამოსვლა.** გუშინ თბილისში ჩამოვიდა სოხუმის ქალაქის თავი ბენია, რომელიც ამას წინად ბოლშევიკებმა დაატუსა-

ის გაუნთავისუფლებიათ ექვსი ტყვეობის შემდეგ.

**✦ ვალოდია გოგუაძე.** გუშინვე ანგორიდან ჩამოვიდა ვალოდია გოგუაძე თავის ჯავშნიანი მატარებლით. მატარებელი ტყვიებით საცერივით დაცხრილული. თითონ დაჭრილი ექვს ალაგას.

**✦ ჩხრეკა და იარაღის აღმოჩენა.** აპრილს თბილისში მრავალ ადგილას მოხდა ჩხრეკა. აღმოაჩინეს დიდძალი პატრონა და ორი ტყვიის-ფრქვევი.

**✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების** ცენტრალმა წინადადება მისცა სახელმწიფო კონტროლერს, წარუდგინოს მას ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მისცეს 1917 წლის განმავლობაში რკინის გზის მოსამსახურეებს ერთდროული დახმარება და დღიური.

**✦ ქუთაისის ქალაქის თავის შუამდგომლობა.** ქუთაისის ქალაქის თავმა დეპეშით აცნობა კავკასიის ქალაქთა კავშირს, რომ რადგან ქალაქის საავადმყოფო ჩაქეში დაჭრილებით აივსო, გთხოვთ მედიკამენტი გამოგზავნოთო.

**✦ ლანჩხუთის ქალაქის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიეცეს 60 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი და 100 ათასი მანეთი შემწეობა სურსათისათვის, ვინაიდან ფრონტი ახლოს არის აქ და სურსათის კრიზისიაო.

**✦ თბ. მუშათა და ჯარისკაცთა** დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას ცრავ კვირის განმავლობაში მოჰკრიბოს გაჯასახადები. აღმასრულებელი კომიტეტი დახმარებას ჰპირდება.

**✦ დუხაბორების შუამდგომლობა.** ყარსის ოლქის დუხაბორების 9 სოფელმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გაანთავისუფლოს სამხედრო ბეგრისაგან, რადგან ამას ეკრძალავს მათ სარწმუნოება. ახლო მომავალში ეს 9 სოფელი თავრიდის გუბერნიაში გადასახლებას აპირებს.

**✦ პარტიის სასარგებლოდ** ერთი დღის შემოსავალი 25 მან. შემოიტანა იაკობ ზედგინიძემ. გაზეთის სასარგებლოდ კი ბ-ნ სოსიკო ჯიშვილის კანტორამ შემოსწირა 3,000 მან.

**✦ ერეკლე მეორის გასამართლება.** შაბათს, 14 აპრილს ქართულ კლუბის თეატრში გაიმართება ერეკლე მეორის გასამართლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები მცოდნე პირებისაგან.

**✦ ქურდის მოკვლა.** 8 აპრილს მეორე კომისარიატის მილიციონერებმა თეოდორიევის ქუჩაზედ შეიპყრეს გამოჩენილი ქურდი კერვალიძე, რომლის ბინაზედაც აღმოაჩინეს მრავალი ნაქურდალი ტანისამოსი და კლიტეების სამტვრევი იარაღები. როდესაც კერვალიძე მილიციონერებს მილიციის სამართველოში მიჰყავდათ მან გაქცევა დააპირა, მაგრამ იქვე იქნა მოკლული მილიციონერების მიერ.

## თოხლიაური

**✦ მკვლელობა.** 11 მარტს საღამოს რვა საათზე თავის სახლში იპოვეს მოკლული ალექსი პაპიაშვილი. მკვლელობა ჰბრალდება მისივე მეუღლეს მიზეზი შინაური უთანხმოება.

**ს. გიორგი წმიდა.**

**✦** 13 მარტს ადგილობრივ მცხოვრებმა იასონ გულისაშვილმა მინდორში მოჰკლა თოფით თავისი მეზობელი ალექსი მეკოკიშვილი.

## ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა

ორშაბათს, 9 აპრილს ამიერ-კავკასიის სეიმმა განიხილა საკითხი შესახებ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მოხსენებით **დ. ონიაშვილმა** (ს.-დ.) მენშევიკთა ფრაქციის სახელით წაიკითხა მოხსენება რომელშიაც იცავდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების საჭიროებას. ყველა ფრაქციების წარმომადგენლები ერთსულოვნად მიემხრნენ ამ წინადადებას. წინააღმდეგობა გამოსთქვა მხოლოდ კადეტთა ფრაქციის სახელით **ხვიითოვმა** და მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების სახელით **თუმანოვმა**. სეიმმა დიდის უმრავლესობით თითქმის ხმის წინააღმდეგ დაადგინა, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკად გამოცხადება. მთავრობას დაევალა

ამის შესახებ ევროპის სახელმწიფოებს აცნობოს. შემდეგ ამისა ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების შესახებ მოხსენება გააკეთა ტრაპიზონის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა.

მოხსენების შემდეგ სეიმმა დაადგინა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება.

## მთავრობის ბრძანება

აპრილის 6.

ყველა სამაზრო და საგუბერნიო კომისარებს, ბაქოს ქალაქის უფროსს და თბილისის მილიციის უფროსს.

თანახმად უკრაინის ცენტრალ რადის კომისარის შუამდგომლობისა საჭიროდ არის ცნობილი, რომ მარტის 24-ის ბრძანებით გამოცხადებულ მობილიზაციისაგან განთავისუფლებულ იქნენ უკრაინელები, რომელნიც მცხეთაში, ყარსის ოლქში და ახალციხის ვილაზე სცხოვრობენ, ხოლო თიბათვის 2-თვის გადაიდოს ჯარში გაწვევა მხოლოდ იმ უკრაინელებისა, რომელნიც რკინის გზებზე, ფოსტაში, ტელეგრაფზე და სხვა დაწესებულებებში მსახურებენ. და რომელნიც ამიერ-კავკასიაში დროებით მსახურებენ და დაწესებულებების ლიკვიდაციის, ან და ფულის მიუღებლობის გამო რჩებიან აქ. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის მკვიდრ უკრაინელებს, ესენი ემორჩილებიან მარტის 24-ის კანონს ჯარში გაწვევის შესახებ. მიღებულია შესაფერი ზომა, რომ უკრაინელებს ახალი პასპორტები მისცენ.

შინაგან საქმეთა მინისტრი

**ნ. რამიშვილი.**

## მოლაპარაკება სახალხო კომისართა საბჭოსთან

ამ დღეებში ერთი მთავრობის კაცი პირდაპირ მავთულით ელაპარაკა მოსკოვში მყოფ სახალხო კომისართა საბჭოს. მოსკოვთან კავშირის დასაჭერად მას მოუხდა კავშირის დაჭერა კავკავთან. კავკავმა თავის მხრივ თბილისი მოსკოვს შეუკავშირა. ამბობენ, რომ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ლაპარაკობდა თვით ლენინიო. საუბარს ჰფარავენ.

## მურმანში

სახალხო კომისართა საბჭომ მურმანის სამხედრო კოლეგიისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „გერმანელებისგან და ფინელ თეთრ გვარდიელებისგან საფრთხის მოლოდინში, კოლეგიამ პირდაპირი მავთულით აცნობა კომისარ ტროცკის, რომ საჭიროა მხარის გამაგრება რაშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფრანგ-ინგლისელები“. პასუხად ტროცკიმ შემოსთვალა: „აცნობეთ საბჭოს შეუდგეს მანდაურობის გამაგრებას მოკავშირეებთან ერთად“. ამის გამო შეუდგნენ ფრანგ-ინგლისელებთან შეთანხმებას. მათ უმაღლეს მთავრობად იცნეს საბჭოთა მთავრობა და დაჰპირდნენ რომ არ ჩაერევიან საშინაო საქმეებში. ამ დღეებში მურმანში ჩავიდნენ ფრანგების გემი: „გლორი“ და ინგლისელი კრეისერი „კოხრენი“.

## თბილელ გურულებს

ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სურვილი ოსმალეთთან ზავის ჩამოსაგდებად უნაყოფოდ დამთავრდა. ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ომის ფერხულში ჩაბმული და პატარა გურიაც ბრძოლის ველად გადიქცა. ჩვენ არ ვიცით, რით გათავდება ეს საშინელი ომი, მაგრამ ერთი რამ ყველასთვის აშკარაა: ომი და მისგან გამოწვეული უბედურება დიდხანს გასტანს.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაეხმაროს თავის ხალხს, შეეწიოს საერთო საქმეს ის, რაც აბადია.

თბილისში ბევრი გურული ჰცხოვრობს, რომელნიც კანონით სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალი არიან, მაგრამ სურვილი და შეძლება შეეწიონ თავის ქვეყანას დაეხმარონ.

ამისთვის ამ წლის სამ აპრილს გურულების კრებამ თბილისში დააარსა გაჭირვებული გურიის თავდაცვის დამხმარე საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობს ომის საქმეს და ომისგან

დაზარალებულთ დახმარებას აღმოუჩენს. კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელიც საზოგადოების საქმეს აწარმოებს. წესდების მთავარი მუხლი შემდეგია:

წევრებად მიიღება ყველა, ხოლო გურულებისათვის სავალდებულოა, რადგან დღეს უფრო გურიას ადგა განსაცდელი. მაგრამ საზოგადოება დახმარებას გაუწევს საქართველოს ყოველ კუთხეს საჭიროების მიხედვით. გურიის დამხმარე კომიტეტი მოუწოდებს ყველას, შემოიტანონ დაწესებული გადასახადი და ვისაც ომში წასვლა შეუძლიან ან მეომრად, ან სანიტრად, ჩაეწეროს კომიტეტში. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ პირნათლად შეასრულებთ თქვენს მოქალაქობრივ მოვალეობას.

კომიტეტი დროებით იმყოფება „ერთობის“ რედაქციის შენობაში, გოლოვინის პრ., № 12. გადასახადის და შემოწირულების შეტანა და ჩაწერა სწარმოებს ყოველ დღე საღ. 4—7 საათამდე.

**გურიის დამხმარე კომიტეტი.**

## დადგენილება

**სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში ქართველ მოსამსახურეთა კრებისა.**

(აპრილის 8-ში).

„ვაცნობთ რა დიდმნიშვნელოვანი მომენტი, რომ ირღვევა ყოველივე მთლიანობა საქართველოსი და მთელი სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობა და ვეშვებით უფსკრულში, ჩვენ დაწესებულებებში მოსამსახურე ქართველნი ერთხმად ვაღიარებთ საჭიროებას ცხლავ მოწყობილ იქმნას საქართველოს მთავრობა. გამოცხადებულ იქმნას სუვერენული უფლებები საქართველოსი, დადგენილ იქმნას საჭირო ხელშეკრულებანი სხვა სახელმწიფოებთან და გამართულ იქმნას დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოლაპარაკება ცენტრალურ სახელმწიფოებთან, კერძოთ ოსმალეთთან შესახებ ზავისა.—ამისათვის დღესვე უნდა გამოაცხადოს ეროვნულმა საბჭომ თავისი თავი საქართველოს დროებით მთავრობად და შეუდგეს საქართველოს მთლიანობისათვის ზრუნვას და მის პატრონობას და შემდეგში დაუყოვნებელ კრების მოწვევას, რომ მით აღმოფხვრილ იქნეს საქართველოს და ქართველი ერის ათასგვარი უკუღმართობით საფრთხეში ჩავარდნილი.

ჩვენ, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურე ქართველნი სულით და გულით ვეცდებით სრულიად საქართველოს იდეის გამომხატველთ ერთ ცენტრის ირგვლივ შეკავშირებას, რომელიც ერთსულოვნად, მიუხედავად პარტიული მსოფლმხედველობისა დაიცავს ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, გადასწყვეტს ომის და ზავის საკითხს, გაატარებს ცხოვრებაში არსებულ მომენტის მიხედვით ყველა საჭირო-სავალდებულო კანონებს, რომელნიც შეაკავშირებენ საქართველოს ყველა შვილთ სამშობლოს ირგვლივ, მის ინტერესების დასაცავად და ჩვენც—დაწესებულებებში მოსამსახურე—ქართველნი მზად ვართ ყველა დირექტივები ეროვნულ საბჭოსი საქართველოს მთლიანობისათვის და საქართველოს კეთილდღეობისათვის მიმართული ერთსულოვნად მივიღოთ და ცხოვრებაში გავატაროთ, და ამით ვიმედოვნებთ, რომ ეროვნული საბჭო თავის მხრივ, ჩვენს კავშირს დახმარებას გაუწევს და მის არსებობას საჭირო ნიადაგს გაუმაგრებს“.

ეს დადგენილება სასწრაფოდ გადაეცა ეროვნულ საბჭოს, სეიმის თავმჯდომარეს და ეგრეთვე ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს.

## აჭარის გადადგომის მიზეზები

ჩვენ, ქართველებს, საზოგადოდ გვიყვარს ყველაფერი ჩვენს სურვილზე დავამყაროთ და გარეგნობით ჩვენებურად და იმას კი აღარა ვფიქრობთ, რომ სხვასაც გაუწიოთ ანგარიში და იმის გულშიც ჩავიხედოთ. ჩვენ გვგონია აუცილებლად სხვამაც ისევე იფიქროს და იმ ჯილოს, როგორც ჩვენ: ჩვენ ვიძახით, რომ აჭარა არის რა რელიგია, ამას იქით აღარაფერი შესმენა და გაგონება აღარ გვინდა. ეს კი საუბედუროდ ერთნაირი ქართული უნიადაგო ჯიუტობა გახლავთ. არიან ქვეყნები ათეისტობის მოტრფიალე ხალხით და არიან ამავე დროს ნაციონალურად აღზრდილნი და თავიანთ ნაციონალურ დიდებისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებენ! ჩვენშიც ყოფილან, რომელთაც თავიანთის თავგანწირვით აქნობამდის მოგვაწყვეს. საუბედუროდ შეიცვალა ზნე-ჩვეულება და უწინდელმა დარბაისლურმა ღირებულებამაც დაჰკარგა ფასი. ბევრნი არიან ისეთები, რომელთათვისაც სარწმუნოება და ერი გახეკრული ფარად არ უღირთ. საუბედუროდ ამ კატეგორიის ხალხს ჩვენც მეკუთვნით, სულ კი ს.-დემოკრატების წყალობით, რომელთათვისაც ორივე ცნება, რწმენა და ერი მეტ ხორცად მიაჩნიათ. ისინი უფრო ოცნების სამფლობელოში დაფრინავენ უნიადაგოთ. ამიტომაცაა, რომ წინ მიდიან! ამასწინეთ ერთი ერთს გიმნაზიის უფროსს ბრძანება მოსვლია, რომ გიმნაზიაში ქცლესია მოუშალათ და მღვდელიც დაეთხოვნეთ, რადგანაც სარწმუნოება ყმაწვილებს რყვნისო! მოვიდა პატარა 12 წლის ყმაწვილი და მითხრა:—„მამა, განა სარწმუნოება და ღვთის ლოცვა ყმაწვილებს რყვნის“. ჩვენ ეკლესია წაგვართვეს და ამას წინეთ ამხანაგი გადაცვალა და პანაშვიდის უფლება არ მოგვცეს, თუმცა უფროსიც კი სწუხდაო“. ამასა ჰქვიან რწმენის თავისუფლება?!

სარწმუნოების მაგიერათ კი სოფლებში პროპაგანდისტებსა ჰგზავნიან და ხალხს უქადაგებენ მემამულეებისა და თავადების ქლეტვა-ხოცვას! პროგრესი იქნება მართლაა!

არ შეიძლება ყველას თავზე მოახვიო ის, რაც შენ გესიამოვნება, არამედ ყველა შენებურათ ჰფიქრობდეს და სწამდეს ის, რაც შენა გწამს და გიყვარს, ამას გაგება უნდა, საჭიროა სათანადოდ შესწავლა ადამიანის ფსიხოლოგიისა. მისი ბუნებისა. ჩვენ კი ასე არ მოვიქეცით, ჩვენ შორიდან კი არ მოვუარეთ და არ შევისწავლეთ აჭარლების ფსიხოლოგია, იმათი ზნეობა, იმათი ხასიათი, კი არ ჩავიხედეთ მათს გონებაში და გულში და ისე კი არ მივუახლოვდით და პირდაპირ ძველებურის ქართველურის გულუბრყვილოდ დაუწყეთ იმ ხალხს ჩვენი სურვილების ჩანერგვა მათს უკვე გამუსულმანებულს გულში და სულში, რომელნიც ფანატიკურის წესით არიან აღზრდილნი და დაუწყეთ ქართველური უანგარიშო გულახდობა და მათს სულში ხელის ფათური, მათი ჩვენს ჭკუაზე მოწყობა და მართვა.

მეორე არა ამაზე ნაკლები და ერთად-ერთი მიზეზი მათი ჩვენგით გაბოიშვისა, გადადგომისა და აჯანყებისა ისაა, რომ ჩვენმა სოციალისტებმა მეტად აჩქარებით გამოსცეს მიწის დეკრეტი, ის კი აღარ იკითხეს და არც კითხულობენ, თუ როგორის თვალით შეხედავს ამას სხვა და სხვა ჯურის და სხვა და სხვა კულტურისა და ჩვეულების მქონე ხალხი!

ამნაირი, უხეში, ნაძალადევი ბრძანებით არც ნიკოლოზ მეორის დროს მიუმართავთ ხალხისათვის, როდესაც ასე იყო თუ ისე, კიდევ ანგარიშს უწევდნენ ხალხსა და უკვირდებოდნენ მათს ფსიხოლოგიას და სულისკვეთებას! ამ საოცნებო თავისუფლების ჟამს კი ვაი შენი ბრალი, თუ ისე არა ჰფიქრობ და არ ოცნებობ, როგორც ჩვენებური გოგია სოციალისტები, ამნაირის თავგადასავლისათვის ისინი ხულიგანობისა და კონტრ-რევოლუციონერობის იარლიკს მოგაკრავენ შუბლზე და მორჩა! ესეც ჩვენებური ქართველური ქინიანობა და უკიდურესობა გახლავთ! ჩვენ რომ აჭარლებისთვის მეგობრული და ძმური ხელი გაგვეწვდინა და ჯერჯერობით სკოლებისათვის თავი დაგვენებებინა და სხვა დიპლომატიური ხერხებით გზით მივსულიყავით მათთან და გაგვეცნობიდით მათს ფსიხოლოგიას, გაგვეგო, რომ არ იყო მათთვის უფრო საჭირო ჩვენთან დაახლოვებისათვის, ამით ჩვენ ბევრს მოვიგებდით და აღარც ეჭვში შევიყვანდით.

ჩვენ აჭარლებთან ეროვნული დაკავშირება გვქირია, ხელ ახლა უნდა შევუდგეთ მათ განკურნებას და დაახლოვებას! ჩვენმა წინდაუხედაობამ მიწის საკითხმა სრულიად დააფრთხო ეს პატარა, ტრიარქალურად აღზრდილი ხალხი და ვაიძულეთ, გულზე ხელი გვეკრა! იმათ მიწა და მამული შვილზე არა ნაკლებ საწამიაჩნიათ. შვილი ხომ იცით, რა ძვირად ფასობს აჭარელთ ნახევრად კულტურული ხალხისთვის! მიწა, მამული და საკუთრება აჭარელისათვის იგივე ღვიძლი შვილია. განა ამ შემთხვევაში შეიძლება და ამნაირის იერიშით მივსულიყავით ყველგან ერთნაირად? მიწის საკითხში ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა მივსულიყავით და ახლაც უნდა ვეცადოთ ჩვენი შეცდომები გავასწოროთ, თუ არა გვსურს, რომ კიდევ სამშე კისერი მოვიტეხოთ.

ჩვენი სოციალ-დემოკრატები კი ყველა ამას ხელოვნურათ თვალს არიდებენ, მაგრამ როდემდის? უნდა დარწმუნებით ვიცოდეთ, რომ აჭარლების გადადგომა და აჯანყების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს უტყუარათ მიწის საკითხის დეკრეტი. ჩვენ გვეძახით, რომ რელიგია და სარწმუნოება აღარ არსებობს და არის მარტოდ-მარტო ადამიანიო!

აბა გადაავლეთ თვალი „ერთობის“ მე-70 ნომერს და ცხადად დაინახავთ ბატონი ჩიხლაძის წერილიდან, თუ რანაირად შეხვდნენ აჭარლები დელეგატების სიტყვებს, თუ რანაირის თავგანწირვით და თითქმის ზიზღით გაიძახიან ყრილობაზე:—არ გვინდა, არ გვინდა თქვენი „ერთობაო“. თითქმის მუქარა იმოდა აჭარლების სიტყვებში და ამ მუქარისა და ზიზღის მიზეზები განა არ უნდა გამოვნახოთ და ანგარიში არ უნდა გაუწიოთ? განა აჭარლებს ერთობა და ძმობა არ უნდოდათ ჩვენთან? იმათ უნდათ და შეიძლება ჩვენზე მეტადაც ეტრფოდნენ ამ საუკუნოებით დაკარგულს ძმებთან დაახლოვებას, მაგრამ იმათ ეჭვი შეეპარათ მათს ახალს სარწმუნოების გარდაქმნაზე და ჩვენ ამნაირი წინდაუხედაობა არ გვეპატიება იმნაირ ფანატიკურათ აღზრდილს ხალხის წინაშე, რომელნიც ვაიძულეთ ეჭვი შეპარვოდათ ჩვენს გულწრფელობაში! ამ ნაირად ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ როგორ მივიდეთ მათთან და რა გზით უნდა მისვლა და არა იმ გზით, რითაც მათ მიზეზებს ვაძლევთ ეჭვი შეიტანონ ჩვენს მოქმედებაში. ეს ეჭვები სწორეთ იმ სკოლების გახსნა იყო, რომელმაც ეჭვი დაჰბადა მათში სარწმუნოების გარდაქმნაში, შემდეგ ხომ მიწების ჩამორთმევაზეც დაემუქრეთ! მაშ რაღა დარჩენოდათ იმათ იმის მეტი, რომ ერთმორწმუნე ოსმალეთისათვის გაეწოდათ ხელი! იმათის აზრით ჩვენ მოვინდომეთ მათი სარწმუნოების წართმევაც და მიწების ჩვენს ჭკუაზე მოწყობა.

ვინც „ერთობის მე-70-ე ნომრის წერილს წაიკითხავს და ჩაუკვირდება ფხიზლის თვალით და მიუდგომელის განხილვით ნათლად დაინახავს მათს სულისკვეთებას!

მე ერთხელ თბილისის გლეხთა ყრილობას დავესწარი, სადაც ბლომათ იყვნენ ჩამოსულნი გურულებთან ერთათ აჭარლებიც ამ ყრილობაზე. ერთ-ერთი დანის შეკითხვაზე მიწის შესახებ აჭარლებმა თითქმის ერთხმად მისცეს პასუხი: „არა ბიძია, მაი რავა იქნება, მიწა ჩვენი შვილების გვირგვინია და ამიზა მიწას ჩვენ ვერავის ვერ დაუთმობთ, თუ გინდ ჩვენ ყველაფი დავიხოცოთო“. ამაზე ნათლათ და გამოკვეთით განა შეიძლება აჭარელი გლეხის ფსიხოლოგიის გამორკვევა? ამ აჭარლების რამოდენიმე სიტყვაში იხატებოდა მათი სულის კვეთება და სულიერი მისწრაფება საკუთრებისა და მიწის შესახებ: ის იყო წარმომადგენელი აჭარლებისა და ამ რამოდენიმე სიტყვით განმარტა მან თავიანთი საჭირბოროტო საკითხი! აი ეს იყო სწორეთ იმის მიზეზი, რომ ათქმევინა აჭარლებს: „არ გვინდა თქვენი ერთობაო“. და ასრულებენ კიდევაც და ხელ გაშლილნი მიუწოდებენ ოსმალეთს და ამით იფარავენ სარწმუნოებასაც და მიწასაც...

**ი. გვიდეხიანი.**

## თბილისიდან ს. ნატანებამდე

ჩემი ოცდა-ხუთი წლის ნაამაგარ-ნაჭირნახულევი ოჯახის ბკლებით ოსმალებისა და გზა აბნეულ ქართველებისგან დანადგურებულმა სამს აპრილს გავემგზავრე ქ. თბილისიდან ბათომის ფრონტისკენ ჩემი შვილის ლევანის ნახვად, რომელიც ქართულ გიმნა-

ზიის გათავების უმალ თავის ნებით და ჩემი ბრძანებით შევიყვანე არტილერიაში. გზაში ბევრი შავი ფიქრები მიტრიალებდა თავში. სადღა მაქვს მამული, სახლი, კარი, ოფლით ნაშოვნი და დაზოგვილი ქონება?! სულ აღარაფერი მაქვს და რაღა უნდა დაიცვას ჩემმა ოცი წლის ახალგაზდა გაწვრთნილმა მამულისა და სამშობლოსთვის ჭაბუკმა? მაგრამ არა, რა ვუყოთ რომ ბრბომ უგუნურმა ასეთი უბედურება დამატეხა თავზე. მტრის შემოსევა ხომ უარესს გვიმზადებს? წავალ, ვინახულებ ჩემს მებრძოლს შვილს, დავარიგებ და ვეტყვი, რომ მტრის გულისად არ გახდეს და სიცოცხლე შესწიროს სამშობლოს;

გზაში მიმავალ-მომავალი მატარებლები ხალხით იყო გაჭედილი. სადგურზე შეხვედრილ მატარებლით მგზავრებს ვეკითხებოდით ბათომის ამბავს. ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ბათომი ჩვენ ხელშიაო, ბათომის დაპყრობა არავის სჯეროდა და ამით ბათილდებოდა მთავრობის წარმომადგენლის სიტყვა. ეჰ, არც გვიჭკრის სცოდნია რამეო, ჩვენ კი გვითხრა რომ ბათომი ოსმალოთა ხელშიაო!.. გზა და გზა მატარებლებს ჯარისკაცები უსხდებოდნენ. ბათომიდან მომავალ მატარებელზედაც ბევრი იყვნენ ზოგი იარაღიანი, ზოგი უიარაღო ქართველი ჯარისკაცები. მეორე დღეს დილის თერთმეტ საათზე სამტრედიაში მივედით. აქ აუარებელი ჯარი შეგვხვდა როგორც სადგურზე ისე მთელ ლიანდაგებზე. ჩემი შვილი აქ მეგულებოდა. დავუწყე ძებნა, ხან ერთ მწკრივ ვაგონებს ავყევი ხან მეორეს. იქ არტილერიაც იდგა (გაჩერებული ვაგონზე). ერთმა მითხრა, შენი შვილის ბრიგადა ნატანებს გაამგზავრესო. ხოლო სხვას რომ შევეკითხე, იმან მითხრა დილას აქა ვნახეო. ბევრი ვეძებე. შტაბშიც ვიკითხე, ვერა გამაგებინეს რა. მერე თვით მთავარსარდლის გაბაშვილის შტაბში (ვაგონში იყო მოთავსებული) ვიკითხე და მითხრეს, რომ ნატანებშია.

მივედი ნატანებშიც. „არ შემოუშვებთ თათარს!" იძახდნენ გურულები... იქაც დიდი ხანი ვეძებე ჩემი შვილი, ბოლოს მივაგენით მეიდანს სადაც დაბანაკებული იყო № ბრიგადა ცხენის სამთო ბატარეისა. გავეშურე იქით. იქ შემხვდა ქართლის აგრონომი ელიზბარ კობულაშვილი, ისიც თავის ნებით ჯარისკაცი. მისალმების შემდეგ შემომჩივლა რომ მეც შენ შვილთან მინდოდა პოზიციებზე წასვლა, მაგრამ აქ მებარგულად დამტოვესო, მეტში არ ვარგიხარო, შენი ლევანი კი დილას პოზიციაზე გაგზავნესო.

ნატანების ვაგზალზე შევხვდით ორ კაცს, გურულებს, რომლებიც ის იყო ბათომიდან გამოპარულიყვნენ. მათ გვაცნობეს, რომ ბათომი მტრის ხელში იყოო. გვიამბეს, რომ თვით ოლქში მშფოთობიანობა იყო. ყველა სძრახავდა ბათომის დამცველ ჯარს, რომელიც თავზარდაცემული პოზიციებს მოშორებოდა და ცხრა გამზადებული მატარებლით მოეკურცხლათ შინისკენ. ზოგს თავი ხელი დაეღობათ. ერთს ჯარისკაცს დიდი სარკეც კი მოეტაცნა და წამოეღო (ვითომ მერე ეს სარკე ქუთაისში თოფის ტყვიით დაეხვრიტა მის მომტაცებელთან ერთად). ბათომის დათმობას ღალატით ხსნიდნენ: ზოგიერთები ვითომ გახურებულ თოფისა და ზარბაზნის სროლის დროს (და არა ბრძოლის—რადგან არავინ მოკლულა და დაჭრილა), ერთ ვიღაცას თეთრი ბაირაღი აეფრიალებინა, სხვა დაეყვირნა—„ამხანაგებო, ბათომი გაყიდესო, ჩვენ გაგვყიდესო", და ამ ხმაზე ყველანი თავზარდაცემულნი დაშვებულან ჩაქვაში და 9 დატვირთული მატარებლით გამოქცეულან. ასე დარჩენილა ბათომი უმცველოდ, რის შემდეგი უკვე ოფიციალური დეპეშით ვიცით. მე ჩემი შვილი ვეღარ ვნახე. მოკითხვა და გამხნევება შევუთვალე.

მგზავრი აფორიაქებული იყო. ბათომის ამბავს ვერ ურიგდებოდნენ. ჩვენთან იყვნენ ბათომის წისქვილის მუშები, ჩინელები, ქართველები, რუსები და სხვები. მარტის 31-ს გამოქცეულებს არ სჯეროდათ ბათომის აღება. იყვნენ გამოქცეული ჯარისკაცები, რომლებიც პროვოკაციას ეწეოდნენ: ბათომი გაყიდესო. ამაზე მთელ მგზავრების შეგნებული ნაწილი აუმხედრდნენ თავხედ გამოქცეულ ჯარისკაცს. მთელი ღამე მოვდიოდით. სადგურებზე ხანგრძლივად ჩერდებოდა მატარებელი. მოდიოდნენ მოსაშველებლად ჯარისკაცები. ყველანი თავს მოიყრიდნენ სამტრედიაში. იქ ირაზმებიან, პირობას ართმევენ, რომ დაემორჩილებიან დისციპლინას. ვინც არ აძლევს პირობას, მას არ ღებულობენ. აქვე დეზერტირებს იარაღს ართმევენ და ისე ისტუმრებდნენ შერცხვენილებს.

დილის ექვს საათზე წიფაში ვიყავით. იქ მოვიდა საბარგო მატარებელი ჯარისკაცებით სავსე, ზურნა-დაფის დაკვრით, სულ ქართველები იყვნენ გორის, ახალქალაქის მაზრისა, ყველანი მშვენიერი შესახედი ვაჟკაცები იყვნენ, გეგონებოდათ, მდევებს დასჭამდნენ, სულ გამოწყობილი სუფთად შენახულ ჯარისკაცის ტანსაცმელში და თოფ-იარაღ პატრანდაშებში. ჩექმებში. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. მიკვირდა მათი მოკაზმულობა. გეგონებოდა, ეს არის ეხლა გამოვიდნენ ყაზარმებიდან დარაზმულებიო. გამოვეთხოვეთ და დავულოცეთ გზა.

სადგურ მიხაილოვში მრავალი გამოხიზნული-გამოქცეულები შეგვხვდნენ, ღია, ჩეროდახიან ვაგონებზე, უფრო მეტი წილი ქალები დაბავშვები იყვნენ. იქვე ვნახეთ რუსეთიდან სომხის ხალხი ჯარში ჩასაწერად მომავალნი. ს. გომში მრავალი ჯარისკაცები იყვნენ, ზოგი იარაღით, ზოგი უიარაღოდ, მაგრამ აქ კი აშრელებული ჩაცმულობით. ზოგს ახალუხი, ჩექმები და ზედ შინელი, ზოგს როგორ და ზოგს როგორ, მოურიდებელი და ყველასადმი უპატივცემულო მოპყრობა. ზოგი მიდიოდა ბრძოლისაკენ, ზოგი კი ეჭვიანობდა.

გორიდან თბილისამდე ქართველ გლეხკაცებთან მომიხდა ყოფნა. იყვნენ დეპოში მომუშავენიც, რომლებიც სოფლად სცხოვრობენ, ხვნათესვასაც მისდევენ და აქაც მუშაობდნენ. ერთმანეთს შესჩიოდნენ, რომ წვიმა აღარ მოდის და ყანებს ვერ უჩანთ კარგი პირიო. ფული გვაქვს და ჭირნახულს ვერა ვშოულობთო. კოდი სიმინდი ოცდა-თოთხი თუმანიაო. მეორე ამბობდა, ვინც დეპოში მუშაობს, იმას მიწას არ აძლევენო, მესამენი თათრებზე იქვნეულობდნენ, იარაღი მისცესო და ჩვენზე წამოვლენო. მდაბიო ხალხში ძნელია საუბრის ჩამოგდება. „სულ ნასწავლი კაცები გვყიდით და გვატყუებთ... ჩვენ მტრებს იარაღს აძლევთო"... ერთმა ინტელიგენტმა ქალმა დაიხმაურა: „ამხანაგო, კაცები მიხურეო",—„რა ჩემი ამხანაგი ხარო", —შეუტია გლეხმა...

მგზავრი.

## კორესპონდენცია

### სართიჭალიდან

ს. სართიჭალა. მარტის 11 შეიკრიბა ხაშმში გარეჯ-კახეთის წარმომადგენლობა და შემდეგ საქმეებზე იმსჯელეს: 1) რადგანაც იარაღი ბევრს არასანდო პირს ჩაუვარდა ხელში ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. 2) ვინ უნდა მისცეს იარაღის ტარების მოწმობა; 3) როგორ მოექცნენ იმ პირს, რომელიც მოახდენს რაიმე უწესოებას სადმე საზოგადოებაში და მას თოფის მოწმობა კი აქვს; 4) რა შემთხვევაში მიეცეს იარაღის მოწმობა და რა ვადით, 6) თოფის ტარების უფლება მიეცეს მხოლოდ სამსახურის ასრულებისას 7) როგორ დაეხმარონ ერთმანეთს უბედურ შემთხვევაში 8) რა საშუალება ვიხმაროთ მათ შესახებ, ვინც უბრალოდ ისვრის თოფებს და მით ხალხს მოსვენებას არ აძლევენ და პატრონებსაც ჰღუპავენ უსარგებლოდ და გადავწყვიტეთ: 9) აეკრძალოთ თავისუფლად იარაღის ტარება; მის უფლებას—იარაღის ტარებისას აძლევენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები; თუ იმ პირმა, რომელსაც იარაღის ტარების მოწმობა აქვს, სადმე უწესოება მოახდინა, მას იარაღი ჩამოერთმევა და გადაეცემა იმ კომიტეტს, რომელმაც მოწმობა მისცა, თვითონ დამნაშავე შესაფერი თქმით გადაეცემა თავის საზოგადოებას და პასუხიც საზოგადოებას მოეთხოვება; იარაღის ტარება შეუძლიათ, მოწმობით. უნდა მოეწყოს სოფლებში გვარდიები და მილიციები, რომელთაც საჭიროების დროს უნდა ეხმარებოდნენ ყველა 18—40 წლამდე. საჭიროა მოეწყოს რაიონში ტელეფონები, რომ შესაძლებელი იყოს დროზე ეცნობოს ყველას დახმარების შესახებ, ამისთვის საჭიროა მასალას გვაძლევენ გომბორის და მუხროვანის ბატარეიებიდან; სახელდობრ: მავთულს და აპარატებს. ტელეფონი მოეწყოს სოფ. ახალ-სოფელში, მარტყოფში, ხაშმში, პატარძეულში, საგარეჯოში, სართიჭალაში, მალხაზოვკაში, მანავში და მულანლოში. ამის მოსაწყობად აირჩიეს კომისია, რომელშიც შედიან: ვიქ. კუხიანიძე, ისაკ ქოქრაშვილი, ვლ. ბილანიშვილი, ნიკ. ლაფაჩი, მარტიანოვი, ნიკ. ბარძიმაშვილი, ვან. არიშინი, გრიგ. დუჩიძე და მუსაევი. უბრალოდ, უმიზეზოდ იარაღის ხმარების—სროლისთვის დამნაშავენი დაისჯებიან პირველ შემთხვევაში ხუთ თუმნის ჯარიმის გადახდით. მეორედ ათი თუმნით, იარაღიც ჩამოერთმევა და დატუსაღდება. ამავე კრებას მოეხსენდა რა მოწერილობა ყარაიის რაიონის კომისარიატისაგან, რომ ვითომც ყაჩაღთა თარეში აპირებს დაეცეს სართიჭალის რაიონს, დაადგინა; 1) ეცნობოს და ეთხოვოს ჩვენ მეზობელ თათართ ყარაის და ყაზახის მაზრელებს, გამოაცხადონ საყოველთაოდ, რომ ალაგმონ ბოროტ ადამიანთა აგი განზრახვანი და თუ ვინმე გაბედავს სართიჭალის არე-მარეზე თავდასხმას, მაშინ ყოველი მკვიდრი ერთვენების და სარწმუნოების განურჩევლად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავს თავის მიწა-წყალს; 2) მიეწეროს ყველა სოფლებს, რომ სადაც არ არის გვარდია, მოეწყოს ასეთი და მზად იყოს სამშობლოს დასაცავად.

შალვა მარძიმაშვილი.

## შემოწირულებანი

ქართულ უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო შემოწირულება:

1) ქუთაისის ქართველ ისრაელთა შორის შეგროვილი განს. კიტა აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად ორასი მან. (200 მ.)

2) მეჯვრისხევის მომხმარებელ საზოგადოებისაგან „წარმატება" ას ხუთმეტი მან. (115 მ.)

3) ახალსენაკის საზოგადო საკრებულოს საზოგადო კრების მიერ გადადებული ათასი მან. (1000 მ.)

4) სამტრედიის 4 კლასიან გიმნაზიის მოწაფეთა შორის შეგროვილი ათი თუმანი (100 მ.)

5) სამტრედიის უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლაში მოწაფეთა შორის შეგროვილი სამას ოთხმოც და ორი მ. და 60 კ. (362—60), ამათ შორის მეორე კლასის მოწაფემ ლეონტი აბჯაფარიძემ შემოსწირა სამი თუმანი (30 მ.)

6) ნადეჟდა გიორგის ასულმა თარხნიშვილმა შემოსწირა 6 წიგნი: ლათინურ ენაზე გადენის ხუთი წიგნი და ფრანგულ ენაზე „წმიდათა-ცხოვრება".

7) „თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან" შემოწირული 16 ცალი წიგნი საკუთარი გამოცემანი, ამავე ამხანაგობამ დაადგინა ყოველივე თავის გამოცემის თითო ცალი უთავაზოს უნივერსიტეტს.

8) ქ-ნმა ბარბარე ყიფიანმა შემოსწირა 25 ცალი სხვა და სხვა წიგნი და ჟურნალი ფრანგულ ენაზე.


ქართ. დრამატ. ახალ დასისთვის
**მოკარნახეს თანამდებობაზე**
საჭიროა ინტელიგენტი საშუალო სასწავლებელ გათავებული ქალი, რომელიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს სხვა საქმისაგან.
ქართ. დრამატ. საზოგ. კონტორა დილა 10—2 და და 4—6 ს. გოლოვინის პროსპექტი № 11.
2—944—2

**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის** გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

**ქართული კლუბი**
კვირას, 15 აპრილს 1918 წ.
სადღესასწაულო **ვ. ა. აბაშიძის** წარმოდგენა
**40 წლ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**
გაიმართება ორი წარმოდგენა
დილით **პეპო** კომედ. 2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
საღამოთი **ნამუსისათვის** პიესა 4 მოქ შირვანზადესი.
მონაწილეობენ ძველი და ახალგაზდა მსახიობნი.
პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და კ. შათირიშვილი.
ბილეთები იყიდება. 6—943—2

ახალი წიგნი
**გრიგოლ ვეშაპელი.**
**საქართველო და რუსეთი**
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.
წიგნი იყიდება: „საქართველოს" კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

მომხმარებელ საზოგადოების
**„დახმარების"**
გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ თანახმად 4 აპრილის საზოგადო კრების დადგენილებისა კოოპერატივი „დახმარება" შეუერთდა
**კოოპერატივ „ივერიას"**
და გაერთიანებული კოოპერატივი მოქმედებას დაიწყებს 15 აპრილიდან.
მთავარი მაღაზია მოთავსებული იქნება ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება".
საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა სასწრაფოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.
ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორთავე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. ჭავჭავაძის) და გაზეთ „საქართველოს" კანტორაში.

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა
**აღმასრულ. კომიტეტი**
უკანასკნელად მოაგონებს ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველთ, რომელთაც მიიღეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ, ერთ დროული გადასახადის უწყებები, დაუყოვნებლივ შემოიტანონ მათზე გაწერილი ფული. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო უწყება არ ჩაუბარებიათ ვალდებულნი მოიკითხონ ასეთი კომიტეტის მდივანთან (მიხეილის პროსპ. № 5 ა. ბერულაშვილის ღვინის საწყობი) დილის 10—12 საათამდე.
ფული ყველა ქართველ ვაჭარზე გაწერილი და უწყებით მიუღებლობა ვერ იხსნის მათ მოსალოდნელ პასუხის გებისაგან.
ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული შესაფერი ზომები.
3—941—3 აღმასრულებელი კომიტეტი.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
**სამკურნალო**
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის
სამკურნალოში იხსნება კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—6 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ხარკ. უნივ. კლინიკის ყოფ. ორდინატორი
ექიმი **ა. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ნაწლავის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „პონ-მონდის" პირდაპირ.
თ—1018—24

ხარკ. უნივ. კაბინეთის ექიმი
**ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვ" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად შარდ... (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
თ—1536—15

ექიმი
**დიმიტრი (რამინ) იოსების ძე ჟორდანია**
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ჰაიმორია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
ტელეფონი 14—37
1თ—960—32

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი ...
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელ. № 17—21.